ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტის ფარგლებში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (2015; ISBN 978-9941-18-225-9) ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოიცა ელექტრონული წიგნი:

ასტრონომიული ხელნაწერები საქართველოში

/ი. სიმონია, თ. აბულაძე, ნ. ჩხიკვაძე, ლ. სამყურაშვილი, ც. სიმონია, ქ. პატარიძე, გ. მელაძე/.

ნაშრომში წარმოდგენილია:

ასტრონომიულ ხელნაწერთა კვლევის შედეგები - ხელნაწერი მასალის (ასტრონომიული ტრაქტატები, კოსმოლოგიური ხასიათის შრომები, პრაქტიკული ასტრონომიის შემცველი მასალა, დაკვირვებების ჩატარების ინსტრუქციები, საერო და სასულიერო შინაარსის კრებულებში დაცული კალენდარულ-ქრონოლოგიური შრომები, ალმანახები, ლექსიკონები და ენციკლოპედიები, ასტროლოგიური მასალა) შეფასება ასტრონომიის ისტორიის კუთხით; X-XIX სს.-ების 360 ქართული, სპარსული და არაბული ხელნაწერის კატალოგი - მონაცემთა ბაზა - საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებული (ათონი, სინა, სანკტ-პეტერბურგი) ქართული სიძველეთსაცავების კოლექციებიდან ანოტაციებისა და ვიზუალური მასალის დართვით; ასევე, ასტრონომიულ ტერმინთა ლექსიკონი, დამატებითი მასალები ხელნაწერებში წარმოდგენილი თხზულებების ავტორების, მთარგმნელების, ხელნაწერთა კოლექციონერების შესახებ; გალერეა; ვრცელი ბიბლიოგრაფია; ინტერნეტ-რესურსების ჩამონათვალი; ინტერაქტიურ ბაზაში განთავსებულია ოთხი ქართული, ერთი სპარსული და ერთი არაბული ხელნაწერის სრული ტექსტი, რაც საშუალებას აძლევს მკვლევარს უშუალოდ იმუშაოს ასტრონომიულ ხელნაწერებზე.

მოჰამედ ‘ალი ყუშჩი, ტრაქტატი ასტრონომიის შესახებ; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, PL-699, XVII ს.

ყაზიზადე-რუმი, კომენტარები ალ-ჩაღმინის ასტრონომიულ თხზულებაზე; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ArAC -658, XVI ს.